№5

მაისი, 2021წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ბოლნისში ცენტრალური ქუჩის რეაბილიტაცია იგეგმება

გვ:3

ვაქცინა გიცავს!

გვ:3

საპარლამენტო კომიტეტის სხდომა ბოლნისში

გვ:2

საპარლამენტო კომიტეტის სხდომა ბოლნისში

ბოლნისის მუზეუმმა საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტისრიგითმეორეგასვლითსხდომასუმასპინძლა. კომიტეტის წევრებმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეებთან, ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, რეგიონში განხორციელებელი და მიმდინარე პროექტები მიმოიხილეს.

,,ეს არის რეგიონი, რომელიც გამოირჩევა თავისი ბუნებით, ეკონომიკური შესაძლებლობებით, ისტორიით და სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების უნიკალური თანაცხოვრებით. შევიკრიბეთ ქალაქ ბოლნისში იმისთვის, რომ გავეცნოთ რა კეთდება რეგიონში, რა არის გასაკეთებელი, რა მიმართულებებზე და გამოწვევებზე ვიმუშაოთ. საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრა გაიმართა, მოვისმინეთ, რა სამუშაოები ტარდება ქვემო ქართლში და გავეცანით იმ პრობლემებს, რომლებიც სწრაფ გადაჭრას საჭიროებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ასეულობით მილიონი ლარი იხარჯება, რათა თითოეულ ოჯახამდე 24 საათიანი წყლით მომარაგებით იყოს უზრუნველყოფილი. რეგიონს გააჩნია ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის დიდი პოტენციალი, რაც ჯერ კიდევ აუთვისებელია და ამ კუთხითაც უნდა გაგრძელდეს მუშაობა. აქ არის უზარმაზარი ეკონომიკური სიმძლავრეები, რაც უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს, მრეწველობისთვის და განვითარებისთვის, ეს რეგიონი ერთგვარ ლოკომოტივად ვაქციოთ," განაცხადა საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ სოზარ სუბარმა.

სხდომაზე, სხვადასხვა საკითხთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონის შესრულების სამართლებრივი ხასიათის საჭიროებებსა და გამოწვევებზე იმსჯელეს. საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ეკა სეფაშვილის განცხადებით, მაღალმთიანი რეგიონების განვითარება მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია და აღნიშნულ საკითხს, სამთავრობო და საპარლამენტო დღის წესრიგში, სათანადო ადგილი უკავია. მთიანი რეგიონების განვითარებისა და შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნისთვის, სხვადასხვა ღონისძიებები ხორციელდება, როგორიც არის ბიზნესის ხელშეწყობა და გარკვეული შეღავათების დაწესება, ექიმებსა და პედაგოგებისთვის შესაბამისი დანამატების გაცემა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გარკვეული სტიმულების დაწესება.

,,2019-2020 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებული შეღავათებისთვის 157 მილიონი ლარი დაიხარჯა. დასახლებების განვითარების ფონდისთვის 19 მუნიციპალიტეტში გამოყოფილია 20 მლნ. ლარი. ასევე, დაახლოებით 14 მლნ. ლარი იხარჯება სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ხოლო მიმდინარე წელს, მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისთვის ინფრასტრუქტურულ პროექტებში 10 მლნ. ლარი დაიხარჯება," აღნიშნა საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ეკა სეფაშვილმა.

სხდომაზე რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ილია ბეგიაშვილმა ქვემო ქართლში „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის" მიერ 2020 წელს გაწეული სამუშაოების და 2021 წელს მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა. მისი განცხადებით, ფონდი შედარებით მცირე, მაგრამ მუნიციპალიტეტებისთვის, მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს.

,,პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ეს ფორმატი, რასაც ჰქვია კომიტეტის გასვლითი სხდომები, ძალიან საინტერესო და ეფექტურია, რაც დღევანდელმა შეხვედრამაც გვაჩვენა. რაც შეეხება ამ სხდომას, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ წარმოადგინა ორი, ცოტათი განსხვავებული ინფორმაცია, პირველი იყო 2020 წელს განხორციელებული პროექტების შედეგები, როგორ მოხდა რეგიონში გამოყოფილი და ინვესტირებული თანხების ათვისება. უკვე 2021 წლიდან მიმდინარე პროექტებზე ვისაუბრეთ. ეს შეეხებოდა როგორც რეგიონალური განვითარების ფონდის პროექტებს, ასევე მთის ფონდის მხარდაჭერის პროგრამებს. ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული იყო, გაერთიანებული წყალმომარაგების ის პროექტები, რომლებიც ამჟამად ხორციელდება ქვ.ქართლში. მინდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყანაში, 2020 წელს, 360 000 000 ლარი იყო გამოყოფილი რეგიონულ პროექტებზე 97,7%-ით მოხდა ამის ათვისება. მათ შორის ქვ. ქართლი იყო ერთ-ერთი წარმატებული რეგიონი''განაცხადა რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია ბეგიაშვილმა.

კომიტეტის გასვლით სხდომაზე, რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულმა, შოთა რეხვიაშვილმა და მუნიციპალიტეტების მერებმა მოსმენილი ინფორმაცია შეაფასეს და იმ პრობლემატურ საკითხებზე ისაუბრეს, რომლებიც ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს. მომხსენებლების მხრიდან, ყურადღება გამახვილდა გარკვეული სოფლებისთვის მთის სტატუსის მინიჭების საკითხებზე და დაწესებული შეღავათებით სარგებლობაზე, წყალმომარაგების პრობლემებზე და შესაბამისი ინფრასტრუქტურისარარსებობაზე, ასევე რიგ დასახლებებში, საავტომობილო გზების რეაბილიტაციასა და სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

,,ბოლნისმა საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის გასვლით სხდომას უმასპინძლა. სხდომაზე არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი იქნა განხილული. კანონდებლებს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, საქართველოს კანონის იმპლემენტაციის პროცესში არსებული ხარვეზები გავაცანი. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსთან მჭიდრო და ნაყოფიერი ურთიერთობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ ურთიერთობით მუნიციპალიტეტებისთვის საჭირო კანონპროექტების შემუშავება ხდება, რაც თვითმმართველობის სწრაფ და ეფექტურ განვითარებას განაპირობებს", აღნიშნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

,,ეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა იმისათვის, რომ ადგილობრივ თვითმმართველობასთან და დაინტერესებულ მოქალაქეებთან ერთად, გავეცნოთ პარლამენტის ამა თუ იმ კომიტეტის საქმიანობას.

დღეს გვქონდა შესაძლებლობა მოგვესმინა, რეგიონული განვითარების სამინისტროს 2020-2022 წწ განხორციელებული პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია. რაც შეეხება ჩვენს ოლქთან დაკავშირებულ საკითხებს, ვისაუბრეთ იმ საჭიროებებზე, რაც ოთხივე მუნიციპალიტეტში აქვს მოსახლეობას. ყურადღება გავამახვილეთ ბოლნისში მიმდინარე წყალარინების პროექტზე, ზაფხულის პერიოდში სასმელი წყლით უზრუნველყოფისა და სპორტული კომპლექსის მშენებლობის საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ინვესტიცია იდება სახელმწიფოს თვითმმართველობის სხვადასხვა ფონდების მიერ, პრობლემები მაინც მრავლადაა. თუმცა, არის საკითხები, რაც საჭიროებს მეტ ჩართულობას, მეტ დაფინანსებას და სწორედ, ამ საკითხებზე გავამახვილეთ ყურადღებ,"განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრმა გოგი მეშველიანმა.

საპარლამენტო კომიტეტები რეგიონებში გასვლით, ადგილზე ეცნობიან არსებულ მდგომარეობას და ახორციელებენ საზედამხედველო საქმიანობას. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის გასვლითი სხდომის ფარგლებში, სტუმრებმა ქალაქ ბოლნისში ფარნავაზ მეფის ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები და ელიას მთაზე არსებული სამონასტრო კომპლექსი მოინახულეს.

ნონა ხუზმიაშვილი

ახალი სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები" ფარგლებში, ქალაქ ბოლნისის ცენტრალური ქუჩის რეაბილიტაცია იგეგმება

პრემიერ მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაწყებული ახალი სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები" ფარგლებში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში სამუშაო შეხვედრა გამართა.

კომისიის სხდომას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლში შოთა რეხვიაშვილი, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეები, მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და რეგიონის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტების მერებმა, მათ შორის დავით შერაზადიშვილმა, პრეზენტაციის სახით, კომისიის სხდომაზე საპროექტო წინადადებები წარადგინა.

ბოლნისის მერმა კომისიის წევრებს ქალაქ ბოლნისის ცენტრალური ქუჩის ურბანული განვითარების გეგმა გააცნო, რომლის თანახმად, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება იგეგმება.

როგორც ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა აღნიშნა, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა ბოლნისის სავიზიტო ბარათია და პროექტის დასრულების შემდეგ, მოქალაქეები მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის მქონე ცენტრალური ქუჩით ისარგებლებენ, რაც ქალაქს, ვიზიტორებისთვის, უფრო მიმზიდველს გახდის.

სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონები" 4-წლიანია და საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს. პროგრამის მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია და ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტის/მდებარეობების განვითარებას გულისხმობს.

პროექტები განხორციელდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით.

პროგრამის ფარგლებში, კომისიის სხდომები უკვე გაიმართა დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში და კახეთში.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ რეჟიმში ხორციელდება

კრონავირუსის პანდემიის გამო, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ბოლნისის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ რეჟიმში ხორციელდება. მიმდინარე სამუშაოები ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, ზვიად ჭუნაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა.

ქალაქ ბოლნისში ფარნავაზ მეფისა და რუსთაველის ქუჩებზე ადგილობრივი ბაზალტით ქვაფენილის დაგება მიმდინარეობს, ქუჩებზე ასევე ღობეებისა და ჭიშკრების რეაბილიტაციაც განხორციელდება.

ქვაფენილის დაგება, ღობეებისა და ჭიშკრების რეაბილიტაცია მიმდინარეობს მერაბ კოსტავასა და იაკობ ცურტაველის ქუჩებზეც.

ზვიად ჭუნაშვილმა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე ბუბა გობეჯიშვილმა, მონიტორინგის ფარგლებში, ასევე სოფელ ბალიჭში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულეს.

აღნიშნული ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, სამუშაოების სრული ღირებულება 2 398 086 ლარს შეადგენს.

2021 წელს რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტში 4 385 353 ლარის ღირებულების 8 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება,რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით შესრულდება, მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა აღნიშნულ პროექტებში 247 647 ლარია.

"მოგეხსენებათ, ბოლნისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, როგორც უშუალოდ ქალაქში, ასევე სოფლად, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გახლავთ. ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილესთან ერთად მოვინახულე ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება. წელს აღნიშნული ფონდი 8 პროექტს აფინანსებს, რისთვისაც 4 მილიონ 400 ათას ლარამდე დაიხარჯება. ამას გარდა, წელსვე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება", - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ვაქცინა გიცავს!

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრა და საზოგადოებას, ვაქცინაციის პროცესში, აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდა.

,,აუცილებელია მოწოდებაც და მაგალითის მიცემაც, რადგან საზოგადოებისთვის უნდა ვიყოთ უსაფრთხო, აიცერით და გაუფრთხილდით მოხუცებს, შვილებს, ოჯახის წევრებს და თანამოქალაქეებს," განაცხადა თამაზ ჟორჟოლიანმა.

სინოფარმით აიცრნენ ასევე საკრებულოს დეპუტატები: დავით ჯაფარიძე და სამირა ისმაილოვა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეებმა ეკატერინე მიქაბაძემ და გენადი არველაძემ ვაქცინაციისთვის რეგიონულ კლინიკებს მიმართეს. „სინოფარმის" ვაქცინა გენადი არველაძემ ბოლნისის ცენტრალურ კლინიკაში გაიკეთა.

კოვიდ საწინააღმდეგო ჩინური წარმოების ვაქცინა ,,სინოფარმი" 35 ქვეყანაშია აღიარებული და მწარმოებლებს, სხვადასხვა ქვეყანაში , 200 მილიონზე მეტი დოზა აქვთ გაცემული.

კორონა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მსურველთა რაოდენობა ბოლნისში საკმაოდ მაღალია, ყოველდღიურად, ორმოცდაათამდე მოქალაქე იცრება.

ვაქცინაციის მსურველებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ booking.moh.gov.ge , ან დარეკონ შემდეგ ნომერზე: 15 22

პანდემია და აბიტურიენტები

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით 2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია 38 300-ზე მეტმა აბიტურიენტმა გაიარა. აფხაზურ ენას წელს ერთადერთი აბიტურიენტი აბარებს, ოსურ ენას - 7. ყველაზე მეტი აბიტურიენტი კი 35 748 ქართულ ენასა და ლიტერატურას. ბოლნისის მუნიციპალიტეტში 404 მოსწავლემ დაამთავრა სკოლა, აქედან უმეტესობა არ დარეგისტრირდა. საინტერესოა, როგორი გავლენა იქონია აბიტურიენტებზე პანდემიის ორწლიანმა პერიოდმა, ჰქონდა თუ არა დადებითი მხარე ვერაგი დაავადებით გამოწვეულ ჩაკეტილობას, იმოქმედა თუ არა მათ გადაწყვეტილებაზე და რა შეცვალა მათში უხილავმა მტერმა. ამაზე ბოლნისის სხვადასხვა სკოლების კურსდამთავრებულები ისაუბრებენ.

ელენე მეტრეველი:

-კორონავირუსის პანდემიამ არა მარტო ჩემი, არამედ ყველას ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. დისტანციურმა გაკვეთილებმა და სოციალიზაციის ნაკლებობამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, თუმცა ამ რთულმა პერიოდმა, ოჯახის წევრებთან, უფრო მეტად დამაახლოვა. სწავლის გაგრძელებას ვაპირებ უნივერსიტეტში და ვფიქრობ, რომ ჩემს მიერ არჩეული მომავალი პროფესია ძალიან საინტერესო და გამორჩეულია. კორონავირუსის პანდემიამ ჩემი გადაწყვეტილება გაამყარა და მივხვდი, რომ ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ დროს სჭირდება ფსიქოლოგიური "დახმარება" და ფსიქოლოგთან კომუნიკაცია. ცხოვრების ამ მნიშვნელოვან ეტაპამდე მოსასვლელად მე და ჩემმა თანატოლებმა საკმაოდ რთული გზა გავიარეთ. თუმცა ამ ყველაფერს, უშედეგოდ არ ჩაუვლია. ჩვენ წლების შრომა დაგვიფასდა და სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრეთ, რაც სიამაყითა და შთამბეჭდავი გრძნობებით მავსებს. ცხოვრების ახალ საფეხურზე გადასვლა, მართლაც რომ ემოციური და საოცარია ჩემთვის, მაგრამ განვლილი პერიოდი მაინც შეუცვლელია. აქედან გამომდინარე, მინდა მოსწავლეებს ვურჩიო, რომ სწავლის გარდა, საჭიროა ურთიერთობებზე ზრუნვა და თანაკლასელებთან დაუვიწყარი მოგონებების შექმნა.

ნიკა ჩაჩხალია:

-ვაბარებ წელს, მაგრამ ჯერ ზუსტად არ ვიცი, სად და რომელ უნივერსიტეტში, ყველაფერი უფლის ნებაა. რა თქმა უნდა ჩემზეცაა დამოკიდებული, გამოცდების მერე გამოჩნდება, გავაკეთე თუ არა ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი. ბევრი სირთულე და დაბრკოლება იყო ამ პერიოდში, მიუხედავად ამისა, მაინც მკვეთრად დარჩა ჩემს მეხსიერებაში, ნაწილობრივ ცუდად, ნაწილობრივ კარგად, შეიძლება ხალისითაც კი გავიხსენო ხოლმე ეს პერიოდი.

ჩაკეტილი გზა, აკრძალული მოძრაობა მანქანებით, მხოლოდ ველოსიპედები, ვერ ვიტყვი, რომ ცუდი იყო... ბევრისთვის კი იყო უარყოფითი და უშედეგო, თუნდაც, ეს ონლაინ გაკვეთილები, ბევრი ვერ აჰყვა და ჩამორჩა მასალას, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, არანაირი გართულება და პრობლემა არ შექმნილა. ყოველთვის, ვაკეთებდი იმას, რასაც პანდემიამდე მასწავლებლებთანაც და სახლშიც. ზოგადად, ყველაფერი ინდივიდუალურია და ბევრი რამ ჩვენზეა დამოკიდებული, სწორი ნათქვამია, რომ ,,ჩვენ ვქმნით ჩვენს მომავალს". პანდემიამ ბევრი ადამიანი სამსახურისა და შემოსავლის გარეშე დატოვა და სირთულისა და გაჭირვების გადატანა მოუხდათ, ამიტომ, ამ მხრივ ვერ შევაფასებ დადებითად.

აღსანიშნავია, მთავრობის გვერდში დგომა, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა, ყველა იმ გაჭირვებული ხალხის მაგივრად, რომლებსაც ამ რთულ პერიოდში გაუწოდეს დახმარების ხელი. გასამართლებელი და დადებითი არგუმენტი კი არის ის, რომ ადამიანებმა დაიწყეს ჯანსაღად ცხოვრება, ეს იყო ველოსიპედი, ფეხით სიარული თუ სხვა. გაიწმინდა გარემო მანქანების გამონაბოლქვისგან და ასე რომ ვთქვათ, მაგ პერიოდში ,,ამოისუნთქა" გარემომ.

სტელა ხუგოიანი:

-პანდემიამ განათლების უკეთ მიღებაში დამაბრკოლა და იმოქმედა ჩემს გადაწყვეტილებაზეც, არ დავკონკრეტდები, მაგრამ ძალიან რთული იყო სკოლის გარეშე მიჩვევა და გაკვეთილებში ონლაინ ჩართვა.

დადებითად მახსენდება ახალგაზრდების გაერთიანება და სიკეთის კეთება. პანდემიის დროს გავერთიანდით მე და ჩემი მეგობრები, მივედით მერიაში და მედიკოსებს ვეხმარებოდით, დიდ რისკზე მივდიოდით ჩემი ქალაქის კეთილდღეობისთვის. ვეხმარებოდით ყველას, ვისაც ვჭირდებოდით, საკვებით, მედიკამენტებით და ა.შ. იყო კითხვები - სტელა ასე რატო რისკავ? საშიშია, რაიმე არ შეგხვდეს, მაგრამ აზრი არ ჰქონდა, მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებდა, გავსულიყავი დილით ადრე სახლიდან და მოსახლეობისთვის მიმეტანა საკვები.

ელენე ჩანქსელიანი:

-ვაბარებ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. პანდემიის პერიოდს არ უმოქმედია ჩემს გადაწყვეტილებაზე, არც ურთიერთობის მხრივ ყოფილა პრობლემები, რადგან მე და ჩემი კლასელები ვაგრძელებდით ჩვეულებრივ რეჟიმში ურთიერთობასაც და სწავლასაც.

დიკუნა კაგრამანიანი:

- წელს არ ვაპირებ ჩაბარებას. შემდეგში სტომატოლოგიურზე ჩავაბარებ. ეს პერიოდი, არც თუ ისე კარგად დამამახსოვრდა. სირთულე ჩემთვის პირველ რიგში ის იყო, რომ პანდემია საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობაში მიშლიდა ხელს. სკოლაში გატარებული დღეები ყველაზე მეტად მენატრებოდა, რადგან იმდენად მეგობრული და ოჯახური გარემო გვაქვს „დავითიანში", ძალიან გვაკლდა ყველას ერთად ყოფნა.

თემურ თუთარაშვილი:

-სწავლის გაგრძელებას საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაპირებ. სკოლის პერიოდი, უალტერნატივოა. ფერადი, ლაღი, ბედნიერი, ემოციებით, შთაბეჭდილებებით, ახალი გამოცდილებებით დატვირთული. ურთიერთობები, ყოველდღიური აქტიურობა და ადამიანები, რომლებიც გასწავლიან და გაყალიბებენ პიროვნებად. პანდემიის პერიოდს როგორ გავიხსენებ? უფერულს ან ნაცრისფერს, ადგილ-ადგილ ფერადი კოპლებით, რომლებიც მხოლოდ ტალღასა და ტალღას შორის კორონას უკან დახევისას ჩნდებოდა ხოლმე. ძალიან რთული პერიოდი გავიარეთ, ერთდროულად უამრავ ფრონტზე ვიბრძოდით, მაგრამ ვფიქრობ, უკვე გავიმარჯვეთ! მაგრამ არ არსებობს საკითხი, რომელსაც დადებითი მხარე არ ექნება. ამ შემთხვევაშიც ვფიქრობ, რომ ადამიანებმა მეტწილად დაიწყეს ღირებულებების გადაფასება. წინა პლანზე წამოვიდა ადამიანური ურთიერთობები, ამ ყველაფერს წესით და რიგით ახლა ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ჩემი აზრით, ყველაზე კარგი, რაც პანდემიამ გააკეთა, ისაა რომ მატერიალიზმი დათრგუნა და სულიერება წინა პლანზე წამოსწია. დიახ, პანდემიამ ყველაფერზე იმოქმედა, მათ შორის ჩემს გადაწყვეტილებებზეც. ის რასაც ვგეგმავდი წლების მანძილზე და რისთვისაც ვიბრძოდი, უბრალოდ აღარ არსებობს, კიდევ კარგა ხანი შეუძლებელი იქნება ჩემი მრავალი მიზნის განხორციელება, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს მოტივაციას არ მაკარგვინებს.

დარეჯან ოქრუაშვილი

ორი ათეული წელი საქმის სიყვარულით და შეუპოვარი ხასიათით

19 წელია საქმის სიყვარულით, მტკიცე და შეუპოვარი ხასიათით, კომპანია „არემჯის“ საწარმოში ნანა ჯაყელი ამწე კრანის მემანქანედ მუშაობს. სიმაღლის შიშით შეპყრობილმა ყველა სტერეოტიპი დაამსხვრია და სუსტი სქესის წარმომადგენლების შესახებ გამოწვევებს მტკიცედ შეხვდა. ნანა ჯაყელის პროფესიაში ყოველი წამი და სიზუსტე გადამწყვეტია, დაუშვებელია შიში, დაბნეულობა და მოდუნება, მაგრამ დაკისრებულ მოვალეობას დღემდე თავდაუზოგავად, დიდი სიყვარულით ასრულებს და თვლის, რომ ეს საქმე ერთმნიშვნელოვნად მისია.

პროფესიის შერჩევა სპონტანური არ ყოფილა, უკვირდათ, ქალი ორ ამწეზე, ხიდურზე და გრეიფერზე, როგორ გაართმევდა თავს ბევრიც გაგებით მოეკიდა. მართვის მოწმობის გამოცდაზე გასულს, დღემდე ახსოვს კომისიის ერთ-ერთი წევრის რჩევა: „საქმე იმდენად რთულია, სანამ ამწეზე ახვალ და სამუშაოს დაიწყებ, გახსოვდეს, სახლში შვილები გელიან. უნდა დაივიწყო ყველა პრობლემა, შიში და დაბრკოლება, შინ მშვიდობით რომ დაბრუნდეო“. სწორედ ამ შემართებით ღვთის იმედით, ყურადღებით, საქმის სიყვარულით და ხალისით იწყებს და ამთავრებს ყოველ დღეს, სახლში კი მეუღლე, 3 ქალიშვილი და 2 შვილიშვილი ელიან.

ნანა ჯაყელი:

-მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლის მეშინოდა, რატომღაც გამიჩნდა სურვილი, რომ ამწე კრანის მართვა შემესწავლა. ეს იდეა საამქროს უფროსს ბატონ მალხაზ ბერიძეს გავუზიარე, სურვილი მალევე ამისრულდა და დავიწყე შესწავლა, საბედნიეროდ, ადვილად გავართვი თავი და სადღაც თვენახევარში, საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა დამოუკიდებლად მემუშავა და დამეტვირთა გრეიფერის ამწე. სხვა გზა არ იყო, უნდა დამეძლია შიში და დაბნეულობა. საბედნიეროდ პირველი გამოცდა საკმაოდ კარგად გავიარე, ეს იყო ჩემთვის პირველი დაკისრებული მოვალეობის კარგად შესრულება. ზუსტად იმ დღიდან, ისევე პასუხისმგებლობით და თავდაუზოგავად ვეკიდები ჩემს სამუშაოს, როგორც პირველ დღეს და გაცნობიერებული მაქვს, შიში და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება დაუშვებელია“.

20-25 მეტრის სიგრძის ამწე-კრანის კარგად მართვა, საკმაოდ რთულია, თუმცა როგორც ქალბატონი ნანა აღნიშნავს, კოლექტივისგან დიდმა პატივისცემამ, სიყვარულმა და ერთგულებამ, კიდევ უფრო გააძლიერა, გაამხნევა და გაუადვილა საქმე, რომელიც ასე ძალიან უყვარს და თვლის, თავიდან რომ დაიწყოს, ისევ ამწე კრანის მემანქანეობას შეისწავლიდა.

„ამწეზე მუშაობისას გრეიფერი იქნება, თუ ხიდური, ბევრი სირთულის გადალახვა მიწევს, მაქსიმალურად კონცენტრირებული უნდა ვიყო, რომ უმნიშვნელო შეცდომაც არ დავუშვა, არ დავაღალატო ჩემი ოჯახი, სადაც დიდი სიყვარულით მელიან და კოლექტივი, სადაც პატივისცემასა და ერთგულებას ვგრძნობ“.

ერთი ამწიდან მეორე ამწეზე გადასვლა, 100-დან 400 ტონამდე ტვირთის ატვირთვა, რთული სამუშაო დღე და კარგად შესრულებული მოვალეობა, ეს ნანა ჯაყელისთვის ჩვეული რუტინაა, რომელიც არ უშლის ხელს იყოს კარგი მეუღლე, დედა, დიასახლისი და ბებია, იყოს მზრუნველი, მოსიყვარულე, ერთგული და ყურადღებიანი, მუდამ პოზიტიური, მეგობრული და შვილებზე და შვილიშვილებზე უზომოდ შეყვარებული.

„ოთხი დღე ვმუშაობ, ხშირად მიწევს ერთი ამწიდან მეორეზე გადასვლა და დიდი ტვირთის ატვირთვა, მაგრამ რაც უფრო მეტად ვიღლები და ვშრომობ, მით უფრო ბედნიერი ვარ, ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, რომელიც ხელს არ მიშლის საოჯახო საქმეებში და დროის განაწილებაში.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენს ხელმძღვანელობას, ასეთი კარგი პირობებისა და შრომის დაფასებისთვის. მიხარია, რომ ამ გრანდიოზული და ძლიერი კომპანიის თანამშრომელი ვარ,“.

მიუხედავად რთული პროფესიისა, სადაც არაერთი სიძნელისა და წინააღმდეგობის გადალახვა უწევს, ქალბატონი ნანა ქალურობას არ კარგავს და ამწე კრანის მართვისას მუდამ მოწესრიგებულია, ჩაფხუტის ქვეშ მსუბუქ მაკიაჟსაც ატარებს. ბედნიერია, რომ კარგად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას და ამაყობს, რომ არის საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის გუნდის წევრი.

მარინა გავაშელი

ხელოვანი ადამიანები სამყაროს განსხვავებული ფერებით აღიქვამენ

შემოქმედი ადამიანები განსხვავებული ფერებით აღიქვამენ სამყაროს,ხელოვნება მათ შინაგან თავისუფლებას ანიჭებს, სათქმელს კი, ნამუშევრებში ფერთა შეხამებით გადმოსცემენ. ამჯერად გაზეთი ,,ბოლნისი"გაგაცნობთ ნიჭიერ ახალგაზრდას, რომელმაც საყვარელი საქმე შემოსავლის წყაროდ აქცია, არც თუ დიდი ხანია სოციალურ ქსელში გაჩნდა გვერდი ,,კუდრაჭა", სადაც ქეთი ზურაბაშვილის ხელნაკეთი ნივთებია განთავსებული, ერთმანეთისგან განსხვავებულმა, დახვეწილმა აქსესუარებმა საზოგადოების ყურადღება მალევე მიიპყრო.

-ქეთი გვიამბე შენზე, საყვარელ ხელსაქმეზე.

-მე ვარ ქეთევან ზურაბაშვილი, აგროინჟინერიის ბაკალავრი, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი საქმე, თუმცა ჩემს ჰობს წარმოადგენს ქარგვა და ხატვა. ეს პროცესი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ხატვა დავიწყე ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან. თუ სწორად მახსოვს, პირველი ნახატის თემატიკა იყო ცხოველები, ვინაიდან ისინი ძალიან მიყვარს. ძირითადად ვხატავ ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებს. ვცდილობ, თითოეული ნახატი შემოქმედებითი ხასიათის იყოს. ახლობლების უმეტესობამ არ იცის ჩემი ჰობის შესახებ, ვინაიდან ეს არ არის პროფესიონალური ხატვა. ვხატავ მხოლოდ ჩემთვის და მხატვარს, ასე მკაფიოდ, ჩემს თავს ვერ ვუწოდებ.

-გვიამბე როგორ მიხვედი ამ საქმიანობამდე, რა იყო ხატვის დაწყების მიზეზი?

-ბავშვობიდან მიყვარდა შემოქმედებითი საქმიანობა, ვცდილობდი დამეხატა ყველაფერი, რაც მიყვარდა. მომწონდა ფერებთან ურთიერთობა, მათი ერთმანეთთან შეხამება .

-რა გარემოში გიყვარს მუშაობა?

-მუშაობისას უპირატესობას ვანიჭებ წყნარ, კომფორტულ გარემოში ყოფნას, რადგან ვფიქრობ, რომ სწორედ სიმშვიდეში შეუძლია ადამიანს საუკეთესოდ გამოხატოს საკუთარი თავი.

-ძირითადად რითი ხატავ, როგორ ფერებს იყენებ?

-არის შემთხვევები, როცა სახატავად გუაშებს ვიყენებ,

ხანდახან, უბრალოდ, ფერადი ფანქრებით ვხატავ. გააჩნია ნახატის შინაარსს. შეძლებისდაგვარად ვცდილობ გამოვიყენო ღია, ნათელი ფერები, რათა ნამუშევარი უფრო მარტივად აღსაქმელი იყოს და არც თვალი გადაღალოს. ამ ფერებში კარგად ჩანს ჩემი ხასიათი, რადგან ყოველთვის ვცდილობ, ვიყო მხიარული და პოზიტიური.

ხატვის პროცესის დროს მიღებული განცდების სიტყვებით გადმოცემა რთულია, ეს უდიდესი სიამოვნებაა.

-ხატვის გარდა აკეთებ აქსესუარებს, გაქვს სოციალურ ქსელში შენი გვერდი „კუდრაჭა“. გვიამბე ამაზე, როგორია საზოგადოების დაინტერესება?

-დიახ, ვამზადებ თმის აქსესუარებს, როგორებიცაა ბაფთა და სქრანჩი. თითოეული აქსესუარი მზადდება მხოლოდ ერთ ეგზეპლარად. მაქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც ვდებ ჩემი ნამუშევრების ფოტოებს სარეალიზაციოდ. ამ ეტაპზე ხალხის დაინტერესება მაღალია და ცნობადობაც იზრდება. ვფიქრობ, ეს იმითიცაა გამოწვეული, რომ დღესდღეობით ხალხს მოწონს ხელნაკეთი აქსესუარები და აფასებენ იმ სამუშაოს, რომელსაც მათი დამზადების პროცესში გავდივართ.

-როგორ ფიქრობ, ადამიანის ცხოვრებაში რამდენად დიდი გავლენა აქვს ხელოვნებას?

-ვფიქრობ, ხელოვნების გარეშე ჩვენი ცხოვრება ძალიან მოსაწყენი იქნებოდა, ის ადამიანებს აძლევს საშუალებას გამოხატონ საკუთარი გრძნობები და შთაბეჭდილებები, გამოავლინონ ნიჭი და შესაძლებლობები.

-რომელი მხატვარია შენი ინსპირაციის წყარო?

-ინსპირაციის წყარო, როგორც ასეთი, არცერთი მხატვარი არ ყოფილა, ხატვა დავიწყე მხოლოდ საკუთარი სურვილითა და მონდომებით. თუმცა გამორჩეულად მომწონს ვან გოგის შემოქმედება, მისი სტილი და ფერთა შეხამება ნამუშევრებში. ასევე მომწონს მოდილიანი თავისი ეპატაჟურობითა და ბობოქარი სულისკვეთებით.

-გარდა ხატვისა, რითი ხარ დაკავებული?

-ხატვის გარდა, როგორც უკვე აღვნიშნე, დაკავებული



ვარ ქარგვით, რაც უკვე გადავაქციე ერთგვარ ბიზნესად. ვამზადებ აქსესუარებს და ვცდილობ საკუთარი თავის დამკვიდრებას მოცემულ სფეროში.

-რას გეგმავ მომავალში?

-სამომავლოდ მსურს, გავაფართოვო ჩემი ბიზნესი და ვიყო წარმატებული ამ სფეროში.

-მადლობა საინტერესო საუბრისთვის, წარმატებებს გისურვებ.

მაგდა დევნოზაშვილი

გველის ნაკბენი

გველის ნაკბენი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. სავარაუდოდ, მსოფლიოში ყოველწლიურად 5 მილიონი ადამიანი ხდება გველის ნაკბენის მსხვერპლი, აქედან 100,000 შემთხვევა ძალიან სერიოზულია.

დედამიწაზე გველის სულ 2700 სახეობაა ცნობილი. ამათგან საქართველოში 20-22 სახეობა გვხვდება. ჩვენში გავრცელებულ გველებს შორის ყველაზე შხამიანი გიურზაა. მას მოსდევენ კავკასიური გველგესლა და კატისთვალა გველგესლა.

გიურზა გველგესლების ყველაზე დიდი წარმომადგენელია.

შეფერილობა სხვადასხვაა - ღია ნაცრისფრიდან მუქ ნაცრისფრამდე, წენგოსფერი ან მოყავისფრო. ზურგზე მოზრდილი ლაქები აქვს, გვერდებზე - შედარებით მომცრო. შეფერილობის წყალობით გიურზა კარგად ეხამება გარემოს

- გიურზა აქტიურია მარტის ბოლოდან ოქტომბრის ბოლომდე.
- სანადიროდ უმთავრესად ღამით გამოდის, მაგრამ გაზაფხულზე დღისითაც შეიძლება შეგვხვდეს.
-გიურზას ნაკბენი მომაკვდინებელია.
- ახალგამოჩეკილი გველის შხამი ისევე საშიშია, როგორც ზრდასრულისა.

როგორ მოვიქცეთ თუ სადმე გველი გადაგვეყარა?

-გველი აგრესიულობას უშუალოდ საფრთხის დროს ავლენს. ადამიანს თავს პირველი არ ესხმის და მხოლოდ მაშინ კბენს, თუ გააბრაზებენ, მაგალითად, თუ შემთხვევით ფეხს წამოსდებენ ან დაადგამენ. ასე რომ, თუ სადმე გველს გადაეყარეთ:

•ნუ მიეცემით პანიკას - თქვენმა მღელვარებამ შესაძლოა ისიც ააფორიაქოს და გიკბინოთ;
•ერიდეთ აქტიურ ქმედებებს;
•არ მიუახლოვდეთ და არ სცადოთ მისი მოკვლა ან დაჭერა.

როგორ ამოვიცნოთ შხამიანი გველი?

შხამიანი გველის ნაკბენ ადგილას ორი მსხვილი ნაჩხვლეტი რჩება, ხოლო უშხამოს ნაკბენ ადგილას - მრავალი წვრილი წერტილი. შხამიანი გველის კბენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ იწყება ნაკბენის ტკივილი და წვა, ის მიდამო წითლდება, სივდება, კანქვეშ ჩნდება სისხლჩაქცევები. 20-40 წუთის შემდეგ ვითარდება შოკური მოვლენები, პირღებინება, კრუნჩხვა, ცნობიერების დაბინდვა,

ზოგადი სიმპტომები ასეთია:

•ძლიერი ტკივილი ნაკბენის მიდამოში;
•შეშუპება, რომელიც ზოგჯერ ფართოდ ვრცელდება;
•მხედველობისა და გონების დაბინდვა;
•სისხლჩაქცევები;
•ძილად მივარდნა ან აგზნება;
•კრუნჩხვა, ასფიქსია;
•ოფლიანობა და გაძლიერებული ნერწყვდენა.

როგორ დავიცვათ თავი?

• მიუხედავად იმისა, რომ გველების უმეტესობა არ არის შხამიანი, მით უმეტეს საქართველოში, თავი აარიდეთ ხელის ხლებასა და მათთან თამაშს, თუ სპეციალური მომზადება არ გაქვთ გავლილი.

• ნაკბენთა უმეტესობა გამოწვეულია დაზარალებულის მიერ გველის პროვოცირებით.

• თუ იმ ადგილას ხართ, სადაც ბევრი გველია, ეცადეთ ჩაიცვათ გრძელი შარვალი და მაღალყელიანი ფეხსაცმელი.

• თუ ჯოხი გაქვთ, აკაკუნეთ, როცა უცნობ ადგილას მიდიხართ. გამაფრთხილებელი ხმის გაგონებისას გველი თვითონ მოგერიდებათ

• ღამით ისარგებლეთ ფანრით. გაითვალისწინეთ, რომ გველები თბილ ღამეებში აქტიურობენ.

•ებრძოლეთ მღრღნელებს. (გველები იკვებებიან მღრნელებით)

• მოთიბული ბალახი მიწაზე არ დატოვოთ. ნურც მიწაზე დაწვებით, რადგან გველს ადამიანის სითბო იზიდავს.

• თუ გამოღვიძებულმა საკუთარ საწოლში გველი დაინახეთ, ნუ გააკეთებთ მკვეთრ მოძრაობებს, დაელოდეთ, როდის წავა.

პირველი დახმარება გველის ნაკბენის დროს:

1. დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს; კლინიკას, სადაც კვალიფიციურ დახმარებას გაგიწევენ - გაგიკეთებენ სპეციალურ ანტიდოტს ანტიგიურზინს ან პოლივალენტურ გველის შხამის საწინააღმდეგო შრატს.

2. ეცადეთ დაკბენილი ადამიანი მშვიდად იყოს. დაარწმუნეთ იგი, რომ ექიმი ეფექტურად უმკურნალებს მას.

3. ეცადეთ, კიდური არ ამოძრაოთ – ჰორიზონტალურ მდგომარეობაში იმობილიზაცია შხამის გავრცელებას აფერხებს.

4. მოიხსენით ბეჭედი ან სხვა რაიმე მორთულობა, რაც დაზიანებულ არეზე გაქვთ, რადგან ნაკბენისათვის დამახასიათებელია შეშუპება;

5 თუ დაზიანებული ადგილი შეშუპდა და კანმა ფერი შეიცვალა, სავარაუდოა, რომ გველი შხამიანი იყო;

6. დააკვირდით დაზარალებულის სასიცოცხლო ნიშნებს – ტემპერატურა, პულსი, სუნთქვის სიხშირე, სისხლის წნევა. თუ შოკის ნიშნებია: (მაგალითად, ფერის დაკარგვა), დაკბენილი ადამიანი დააწვინეთ ბრტყელ ზედაპირზე, ფეხები ააწევინეთ და გადააფარეთ საბანი;

7. არ მოიბანოთ დაკბენილი ადგილი;

8. მკვდარ გველს ხელი იმ შემთხვევაში მოკიდეთ, თუ არანაირი საფრთხე არ გემუქრებათ. თუ თქვენი დამკბენი გველის მოკვლა არ არის ადვილი, ნუ დაკარგავთ დროს და ნუ გარისკავთ.

9. ფრთხილად იყავით მკვდარი გველის თავთან, რადგან 1 საათის განმავლობაში მას კიდევ შეუძლია კბენა რეფლექსურად.

10. დაზიანებული არე გულის დონეზე ოდნავ დაბლა იქონიეთ, რათა შემცირდეს სისხლდენა

არ შეიძლება:

•ნაკბენიდან სისხლის გამოწოვა;
•ნაკბენი არის გაკვეთა;
•მოწვა;
•დამუანგველი ნივთიერებით დამუშავება;
•ლახტის დადება.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
შემდეგ ნომრებზე:
ა.ა.ი.პ. ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"
599 85 97 37
შპს ,,ბოლნისის საავადმყოფო"
ექიმი რაბიოლოგი 599-92-68-91
თუ თქვენს ირგვლივ (სახლში, ეზოში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში) შენიშნავთ ქვეწარმავალს დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე :
ი/მ ,,დავით ბუიშვილი" 551 79 36 76

ა.ა.ი.პ. ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი გისურვებთ ჯანმრთელობას

პროექტის „გააციფრულე საქართველო" ფარგლებში, ბოლნისში ციფრულმა მოხალისეებმა ტრენინგი ჩაატარეს

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკონფერენციო დარბაზში ციფრულმა მოხალისეებმა, პროექტის „გააციფრულე საქართველო" ფარგლებში, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

ტრენინგზე ციფრულმა მოხალისეებმა მერის წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს Google Map-ისა და Google My Business-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. ტრენინგის ფარგლებში, ასევე მოეწყო საფეხმავლო ტური, სადაც ახალგაზრდებმა ქალაქ ბოლნისში მდებარე ისტორიული შენობები და ადგილობრივი ბიზნესები Google Map-ზე დაიტანეს.

პროექტს „გააციფრულე საქართველო" ა(ა)იპ „აი", USAID-ის პროექტ „ზრდა"-ს ფინანსური მხარდაჭერით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, „გუგლთან" და ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ახორციელებს.

„გააციფრულე საქართველოს" მიზანია ციფრული მისიონერების დახმარებით, Google Map-ზე საქართველოს მასშტაბით არსებული ბიზნესებისა და სხვადასხვა ობიექტის დატანა და მათზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსება მოხდეს. ტურიზმის მხარდაჭერის მიზნით, Google-მა ციფრული მოხალისეები გადაამზადა, რომლებიც თავიანთ ცოდნას მთელი საქართველოს მასშტაბით დაინტერესებულ პირებს, ანუ ციფრულ მისიონერებს გადასცემენ.

Kronavirus pandemiyası səbəbindən ölkədəki vəziyyətə baxmayaraq Bolnisi Bələdiyyəsindəki infrastruktur layihələri aktiv rejimdə həyata keçirilir.

Kvemo Kartlidəki Dövlət Nümayəndəsinin birinci müavini Zviad Chunaşvili, yerli hökumət nümayəndələri ilə birlikdə davam edən işləri ziyarət edib.

Bolnisi şəhərindəki Parnavaz Mepe və Rustaveli küçələrində yerli bazaltla səki döşənməsi davam edir, küçələrdə hasarlar və qapılar bərpa ediləcəkdir. Merab Kostava və İakob Tsurtaveli küçələrində səki daşlarının döşənməsi, hasarların və qapıların bərpası işləri də davam etdirilir. Zviad Chunaşvili və Bolnisi Bələdiyyəsi merinin birinci müavini Buba Gobejişvili, monitorinq çərçivəsində Balichi kəndində yol bərpa işlərini də ziyarət etdilər. Kənddə asfalt yol çəkilməsi davam edir.

Bu infrastruktur işləri bölgələrdə həyata keçiriləcək layihələr fondu və yerli büdcə tərəfindən maliyyələşdirilir, işlərin ümumi dəyəri 2 398 086 lari təşkil edir.

2021-ci ildə bölgələrdə həyata keçiriləcək fonddan Bolnisi Bələdiyyəsində 4,385,353 GEL dəyərində 8 infrastruktur layihəsi, yerli büdcənin birgə maliyyələşdirilməsi ilə həyata keçiriləcəkdir. Qeyd olunan layihələrdə bələdiyyənin ortaq iştirakı 247 647 laridir.

"Bildiyiniz kimi, Bolnisi Bələdiyyəsinin özünüidarəetməsinin əsas prioritetlərindən biri həm şəhərdə, həm də kənddə yol infrastrukturunu yaxşılaşdırmaqdır. Bu gün Kvemo Kartli Dövlət Nümayəndəsinin Birinci müavini ilə birlikdə bölgələrdə həyata keçiriləcək layihələr fondundan maliyyələşdirilən infrastruktur layihələrini ziyarət etdim. Bu il fond 8 layihəni maliyyələşdirir, bunlara 4 milyon 400 min lari xərclənəcəkdir. Bundan əlavə, bu il də yerli büdcədən bir sıra vacib layihələr həyata keçiriləcəkdir ",- deyə Bolnisi Bələdiyyəsinin Meri Davit Şerazadişvili bildirib.

Bolnisidə Gürcüstan Parlamentinin Regional Siyasət və Özünüidarəetmə Komitəsinin çıxışı iclası keçirilib

Bolnisinin yeni Muzeyinin konfrans salonunda Gürcüstan Parlamentinin Regional Siyasət və Özünüidarəetmə Komitəsinin iclası keçirildi. İclasda, müxtəlif məsələlərlə yanaşı, Yerli Özünüidarəetmə Məcəlləsinin və Gürcüstanın Dağlıq Bölgələrin İnkişafına dair Gürcüstan qanunlarının tətbiqi ilə bağlı hüquqi ehtiyaclar və problemlər müzakirə edildi.

2020-ci il üçün bələdiyyə büdcə layihələrinin icrası və gələcək planları barədə Bolnisi, Dmanisi, Tetricğaro və Tsalkanın majoritar deputatı Qoqi Meşveliani hesabat verib. Komitənin iclasında Yerli Özünüidarəetmə Məcəlləsinin və Dağlıq Bölgələrin İnkişafına dair Bolnisi Bələdiyyəsinin Meri Davit Şerazadişvili, Gürcüstan qanunlarının tətbiqi prosesi haqqında hesabat təqdim edib.

"Bolnisi, Gürcüstan Parlamentinin Regional Siyasət və Özünüidarəetmə Komitəsinin iclasına ev sahibliyi etdi. İclasda bir sıra vacib məsələlər müzakirə edildi. Şəxsən mən qanunvericilərə Bolnisi Bələdiyyəsində Yerli Özünüidarəetmə Məcəlləsinin və Gürcüstanın Dağlıq Bölgələrin İnkişafı Qanununun tətbiqi prosesindəki çatışmazlıqlar barədə məlumat verdim. Bizim üçün yerli özünüidarəetmə nümayəndələri , ölkənin qanunverici orqanı ilə sıx və səmərəli münasibətlər xüsusilə vacibdir, çünki parlamentlə əlaqəli olaraq, bələdiyyələr üçün hər bir özünüidarəetmənin sürətli və təsirli inkişafına səbəb olacaq zəruri qanun layihələri hazırlanır",- deyə Bolnisi Bələdiyyə Meri Davit Şerazadişvili bildirib.

Kvemo Kartli Dövlət Nümayəndəsi Şota Rexviaşvili, Kvemo Kartli bölgəsinin sosial-iqtisadi inkişafının xüsusiyyətlərindən danışıb.

Komitənin çıxışı iclasında Regional İnkişaf və İnfrastruktur nazirinin müavini İlia Begiaşvili və Gürcüstan Bələdiyyə İnkişafı Fondunun direktoru Qiorqi Şengelia da çıxış ediblər. Sessiya Parlamentin Regional Siyasət və Özünüidarə Komitəsinin sədri Sozar Subari tərəfindən aparılıb. Komitənin iclasında Regional İnkişaf və İnfrastruktur nazirinin müavini Mzia Qiorqobiani və Kvemo Kartli bölgəsinin rəhbərləri də iştirak edirdilər.

Regional Siyasət və Özünüidarəetmə Komitəsinin təbliğat sessiyası çərçivəsində qonaqlar Bolnisi şəhərində "Parnavaz Mepe'' küçəsindəki asfaltlama işlərini və İlya dağındakı monastır kompleksini ziyarət etdilər.

Düşünürəm ki, bu, yerli özünüidarəetmə, maraqlanan vətəndaşlarla birlikdə bu və ya digər parlament komitəsinin fəaliyyəti ilə tanış olmaq və eyni zamanda icra hakimiyyətinin fəaliyyətinə dair hesabatı dinləmək üçün çox yaxşı bir fürsətdir.

Bu gün Regional İnkişaf Nazirliyinin 2020-2022-ci illər üçün layihələri və gələcək planları barədə eşitmək imkanımız oldu.

Bölgəmizə aid məsələlərə gəldikdə, dörd bələdiyyədə də əhalinin ehtiyaclarından danışdıq. Bolnisidə davam edən kanalizasiya layihəsinə, yayda içməli suyun təmin edilməsinə və idman kompleksinin inşasına diqqət etdik. Tsalka bələdiyyəsinə gəlincə, dizaynı davam etdirilən İmera-Bareti yolundan danışdıq və tikintinin bu il maliyyələşdiriləcəyinə böyük ümidlər bəslədik. Tetricğaro bələdiyyəsindəki dələ parkının bərpası məsələsini də qaldırdıq. Burada Dmanisi Bələdiyyəsi ilə Tsalka Bələdiyyəsini birləşdirən yolun yenidən qurulmasına ehtiyac və zərurət üzərində dayandıq.

Təbii olaraq hər il həmvətənlərimizin problemlərini həll etmək üçün müxtəlif dövlət özünüidarəetmə fondları tərəfindən əhəmiyyətli bir sərmayə qoyulmasına baxmayaraq, daha çox problem və ağrı var. Bununla birlikdə, daha çox iştirak, daha çox maliyyə tələb edən məsələlər var və diqqətimizi bu mövzulara yönəltdik ",- Gürcüstan parlamentinin üzvü Qoqi Meşveliani qeyd edib.

Bolnisinin mərkəzi küçəsinin bərpası "Yenilənmiş Bölgələr" yeni dövlət proqramı çərçivəsində planlaşdırılır

Baş nazir İrakli Qaribaşvilinin təşəbbüsü ilə başladılan "Yenilənmiş Bölgələr" yeni dövlət proqramı çərçivəsində yaradılan xüsusi komissiya, Kvemo Kartlidəki Dövlət Nümayəndəsi administrasiyasında iş görüşməsi keçirib.

Komissiyanın iclasında Regional İnkişaf və İnfrastruktur Naziri İrakli Karseladze, Kvemo Kartli Dövlət Nümayəndəsi Şota Rexviaşvili, İnfrastruktur Nazirinin müavinləri, hökumət administrasiyasının nümayəndələri və bölgənin bələdiyyə başçıları iştirak etdilər.

Bolnisi bələdiyyəsinin bələdiyyə meri Davit Şerazadişvili də daxil olmaqla hər bələdiyyənin meri komissiyanın iclasında layihə təkliflərini təqdim etdi.

Bolnisi Bələdiyyə meri, Komissiya üzvlərinə, Sulxan-Saba Orbeliani küçəsində genişmiqyaslı bərpa işlərinin planlaşdırıldığı Bolnisinin mərkəzi küçəsinin şəhərsalma planı haqqında məlumat verdi.

Bolnisi Bələdiyyə meri Davit Şerazadiçvilinin də qeyd etdiyi kimi, Sulxan-Saba Orbeliani küçəsi Bolnisinin vizit kartıdır və layihə başa çatdıqdan sonra, vətəndaşlar şəhərin ziyarətçiləri üçün daha cəlbedici olacağı baxımdan yaxşı bir infrastruktura sahib olan mərkəzi küçədən istifadə edəcəklər.

Dövlət proqramı "Yenilənmiş Bölgələr" 4 illikdir və Gürcüstanın 63 bələdiyyəsini əhatə edir. Yalnız proqramın birinci mərhələsinin təxmini dəyəri 500 milyon laridir və bölgələrin şəhərsalma yenilənməsini nəzərdə tutur ki, bu da müxtəlif əhəmiyyətli obyektlərin / yerlərin inkişafı deməkdir.

Layihələr həm dövlət büdcəsinin maliyyəsi, həm də beynəlxalq maliyyə qurumlarının dəstəyi ilə həyata keçiriləcəkdir.

Proqram çərçivəsində qərbi Gürcüstanın və Kaxetinin bütün bölgələrində komissiya iclasları artıq keçirilmişdir.

Peyvənd sizi qoruyur!

Bolnisi Bələdiyyə Şurasının sədri koronavirusa qarşı peyvənd olundu və camaatı peyvənd prosesində fəal iştirak etməyə çağırdı.

"Zəng etmək və nümunə göstərmək lazımdır, çünki hər birimiz cəmiyyət üçün təhlükəsiz olmalıyıq, yaşlılarınıza, övladlarınıza, ailə üzvlərinizə və həmvətənlərinizə qayğı göstərməliyik",- Tamaz Jorjoliani deyib.

Bəldiyyə Şurası deputatları: Davit Japaridze və Samira İsmailova da Sinofarm ilənpeyvənd edildilər.

İqtisadiyyat və davamlı inkişaf nazirinin müavinləri Ekaterine Mikabadze və Qenadi Arveladze peyvənd üçün regional klinikalara müraciət etdilər. "Sinofarm" peyvəndi Qenadi Arveladze tərəfindən Bolnisi Mərkəzi Klinikasında edildi.

Kovid virusuna qarşı Çin peyvəndi "Sinofarm" 35 ölkədə tanınır və fərqli ölkələrdə istehsalçılar 200 milyondan çox doza payladılar.

Bolnisidə Korona virusa qarşı peyvənd istəyənlərin sayı kifayət qədər çoxdur, hər gün əlli nəfərə qədər vətəndaş peyvənd olunur.

Peyvənd olmaq istəyənlər booking.moh.gov.ge saytında qeydiyyatdan keçə və ya aşağıdakı nömrəyə zəng edə bilərlər: 15 22

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

პირველი ინდუსტრიული ტური არემჯის სტიპენდიანტებისთვის

არემჯის საწარმოო ტერიტორიაზე, 21 მაისს, პირველი ინდუსტრიული ტური მოეწყო. Industrial Tourism RMG - რიჩ მეტალს გრუპის ინოვაციური პროექტია, რომლის ფარგლებშიც ვიზიტორები ახლოდან გაეცნობიან ოქროს დორე შენადნობისა და სპილენძის კონცენტრატის წარმოების პროცესს, დაათვალიერებენ გარემოსდაცვით ღონისძიებებს და ეკოლოგიურ პროექტებს, ასევე მოინახულებენ „მადნეულის“ ისტორიულ კარიერს. საწარმოო ტერიტორიაზე ვიზიტორებს ადგილზე გიდობას შესაბამისი დარგის სპეციალისტები გაუწევენ. ინდუსტრიული ტურიზმის განვითარების პროექტზე მუშაობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს, მზადდება ონლაინ პლატფორმა, დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ დარეგისტრირდნენ ტურზე და საკუთარი თვალით ნახონ მადნების მუხტებით გაფხვიერების ტექნოლოგია, გროვული გამოტუტვის და ფლოტაციის მეთოდებით მადნების გამდიდრების ტექნოლოგიები, 1000 მეტრის სიმაღლეზე სპეციალურად მოწყობილი გადასახედიდან ჩაიხედონ კარიერის გულში და სხვა.

ტურის პირველი მონაწილე არემჯის სასტიპენდიო კონკურსში გამარჯვებული 25 სტუდენტი იყო. სტიპენდიანტები ადგილზე გაეცნენ საწარმოო პროცესს, მოინახულეს ისტორიული მადნეულის კარიერი, გროვული გამოტუტვის მოედნები, სპილენძის გამამდიდრებელი ფაბრიკა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. მათ სამთო მიმართულებით საკუთარი გამოცდილება წარმოების დირექტორმა კობა მენაბდიშვილმა გაუზიარა, ხოლო ინდუსტრიული ტურიზმის ახალი პროექტის შესახებ, ინფორმაცია კორპორაციულმა დირექტორმა კახაბერ მჭედლიშვილმა მიაწოდა.

არემჯი სტიპენდიანტების პროგრამას 2018 წლიდან, ყოველწლიურად ახორციელებს და მასში მონაწილეობის მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის: სამთო-გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, განათლების ხელშეწყობა და მხარდაჭერა კომპანიისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომლის ფარგლებშიც არემჯი არაერთი პროექტის ავტორი და მხარდამჭერია. მათ შორის არის სტუდენტებისთვის განკუთვნილი პროექტი, „ინდივიდუალური განვითარების პროგრამა“ და „საზაფხულო სკოლა“.

მარნეულის მუნიციპალიტეტში ისტორიის კონკურს „დიდგორელის“ გამარჯვებული გამოვლინდა

კომპანია ,,არემჯის“ მხარდაჭერით, მესამე წელია ქვემო ქართლში საგანმანათლებლო პროექტი ,,დიდგორელი“ ტარდება. თეთრიწყაროს, ბოლნისისა და დმანისის შემდეგ, ახლა უკვე მარნეულის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებმა საკუთარი ცოდნა საქართველოს ისტორიაში გამოსცადეს, პროექტის გამარჯვებული, მარნეულის მე-5 საჯარო სკოლის 11 კლასის მოსწავლე ლუკა ანდიაშვილი გახდა, რომელსაც „არემჯისგან“ 6 თვიანი სტიპენდია დაენიშნება.

კონკურსში 528 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ფინალურ ეტაპზე გადასულ 19 უფროსკლასელს და მათ პედაგოგებს, მარნეულის ბიბლიოთეკის ეზოში კონკურსის ორგანიზატორებისგან სამახსოვრო საჩუქრები და სიგელები გადაეცათ. ამ დროისთვის ისტორიის კონკურს „დიდგორელში“ მონაწილე მოსწავლეთა საერთო რაოდენობამ 1500 მიაღწია.

ისტორიის კონკურსს მარნეულის შემდეგ, გარდაბნის მუნიციპალიტეტი უმასპინძლებს.

ლალი შველიძე

კომპანია ,,არემჯის''ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სამსახურის მონიტორინგის სპეციალისტი

ორმოცდაექვსი წლის წინ ლალი შველიძე საცხოვრებლად ხარაგაულიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტში გადმოვიდა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით ის დაბა კაზრეთში მოხვდა. პროფესიით ინჟინერ-ენერგეტიკოსმა მუშაობა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ტექნიკურ ლაბორატორიაში დაიწყო. 1975 წლიდან სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა. იყო ლაბორატორიის ელექტრო საამქროს უფროსი, ასევე კომპანიის მთავარი ენერგეტიკოსი. ამჟამად „არემჯიში“ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სამსახურის მონიტორინგის სპეციალისტის თანამდებობას იკავებს. დღემდე დიდი შემართებითა და პასუხისმგებლობით უდგება მისთვის საყვარელ საქმეს. მასზეა დამოკიდებული კომპანიაში და მის ქვედანაყოფებში ელექტროენერგიისა და წყლის სწორად დაგეგმარება, მიღება მომწოდებელი ორგანიზაციებისგან, აღრიცხვა და გადანაწილება.

„გავლილმა წლებმა დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მომცა, რაც საშუალებას მაძლევდა მუშაობის პროცესში მიმეღო სწორი და რადიკალური გადაწყვეტილებები, წლების მანძილზე მომსწრე ვარ კომპანიის, როგორც კრიზისული პერიოდის, ასევე წინსვლის და წარმატების. დღევანდელი გადმოსახედიდან არ შეიძლება დადებითად არ შეფასდეს კომპანიის წინსვლა, მენეჯმენტის მუდმივი თანადგომა და ზრუნვა თითოეულ თანამშრომელზე, მრავალი ახალი და პერსპექტიული პროექტების განხორციელება გარემოსა და ბუნების დაცვის კუთხით“.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.